giz Office Tbilisi

**German Development Cooperation**
**GIZ Office Tbilisi**

Rustaveli Av. 42/Griboedov Str. 31a
0108 Tbilisi, Georgia
T +995322201800
F

Your reference
Our reference

29.03.2024

# ტენდერის გამოცხადება

პროექტის დასახელება: **„QUIS, Better Goods and Services“**

პროექტის ნომერი: **23.2227.9-001.00**

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის დავალებით შპს. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) საქმიანობას ეწევა გერმანია-საქართველოს განვითარების თანამშრომლობის სფეროში.

დაგეგმილი გვაქვს შევისყიდოთ საქონელი საქართველოში რეგისტრირებული კომპანიისგან, თანდართულ ტექნიკური სპეციფიკაციების შესაბამისად, დაწვრილებით ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 1.

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი შემოთავაზება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე : ge_quotation@giz.de შეთავაზების მიღების ბოლო ვადა გახლავთ **12.04.2024 23:59** საათი.
დაგვიანებული შემოთავაზებები არ განიხილება!

გთხოვთ, შემოთავაზებები მოგვაწოდოთ **ინგლისურ** ენაზე.
შემოთავაზებები წარმოდგენილი უნდა იყოს **ლარში** (ეროვნული ვალუტა), სხვა ვალუტაში წარმოდგენილი შემოთავაზებები არ მიიღება.

შეთავაზება უნდა შედგებოდეს შემდეგი დოკუმენტებისგან:

- საფასო შემოთავაზება, სადაც მითითებულია შემოთავაზებული ტექნიკის მწარმოებლის დასახელება, მოდელი, ერთეულის ჯამური ფასი.
- შემოთავაზებული ტექნიკის ტექნიკური დოკუმენტაცია. (ინფორმაცია ტექნიკური მახასიათებლების შესახებ).
- შევსებული თვითდეკლარაცია (დანართი 3)
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

Deutsche Gesellschaft für
Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

Registered offices
Bonn and Eschborn, Germany

Friedrich-Ebert-Allee 32 + 36
53113 Bonn, Germany
T +49 228 4460-0
F +49 228 4460-1766

Dag-Hammarskjöld-Weg 1 - 5
65760 Eschborn, Germany
T +49 6196 79-0
F +49 6196 79-1115

E info@giz.de
I www.giz.de

Registered at
Local court (Amtsgericht)
Bonn, Germany
Registration no. HRB 18384
Local court (Amtsgericht)
Frankfurt am Main, Germany
Registration no. HRB 12394

Chairperson of the Supervisory Board
Jochen Flasbarth, State Secretary

Management Board
Thorsten Schäfer-Gümbel (Chair)
Ingrid-Gabriela Hoven (Vice-Chair)
Anna Sophie Herken

გერმანიის თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ სსკ–ს 172-ე მუხლის მე–5 ნაწილის თანახმად გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება სარგებლობს გადასახადებისგან გათავისუფლებით (დღგ, აქციზი, იმპორტის გადასახადი) და შესაბამისად წარმოდგენილი ფასი არ უნდა შეიცავდეს მოცემულ გადასახადებს.

**გთხოვთ შემოთავზების ელექტრონულად გამოგზავნისას დაიცვათ შემდეგი მითითებები:**

– შემოთავაზებები წარმოდგენილი უნდა იყოს PDF-ფორმატში.

– მეილის სათაურში (Subject) მითითებული უნდა იყოს შემდეგი ტენდერის ნომერი: **91180037,** წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხდება თქვენი შემოთავაზების იდენტიფიცირება.

– GIZ -საქართველოს სხვა ელ.ფოსტაზე შემოსულ შემოთავაზებებს მიენიჭებათ დისკვალიფიკაცია.

– ელ.ფოსტის ზომა შემოიფარგლება 20 მბ-ით. იმ შემთხვევაში, თუ შეთავაზება აღემატება მონაცემთა მაქსიმალურ ზომას, შეთავაზების დოკუმენტები უნდა გაიგზავნოს შემდეგი ვებგვერდის მეშვეობით: https://filetransfer.giz.de/Start?2 . GIZ აღიარებს მხოლოდ ფაილების გადაცემის ამ კონკრეტულ პლათფორმას დიდი დოკუმენტების წარდგენისთვის.

– GIZ არ არის პასუხისმგებელი, თუ ელექტრონული ფოსტის მიწოდება მითითებულ მისამართზე ვერ მოხერხდა GIZ-ის ან განმცხადებლის მხრიდან ტექნიკური პრობლემების გამო.

**შეთავაზებაში უნდა იყოს მითითებული შემდეგი ინფორმაცია:**

– **ლოტის** ნომერი, რომელსაც მიეკუთვნება შემოთავაზება (ერთმა კომპანიამ შესაძლოა შემოთავაზება გააკეთოს ერთდროულად რამდენიმე ლოტზე ან მხოლოდ ერთ ლოტზე)
– კომპანიის სახელწოდება
– საიდენტიფიკაციო ნომერი
– საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)
– ტენდერის დასახელება : **„ IT equipment ”**.
– პროექტის ნომერი: **23.2227.9-001.00**
– ტენდერის ნომერი: **91180037**
– მიმღები: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლობა, თბილისი, რუსთაველის გამზირი, N42/ ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩა, N31ა

გთხოვთ, შემოთავაზებაზე დასვათ ბეჭედი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ხელმოწერა.

**შემოთავაზებაში მითითებული უნდა იყოს ასევე:**

- შეკვეთის შესრულების ვადები
- შემოთავაზების მოქმედების ვადა

**შეფასება, რომელიც ადასტურებს ამჟამად მოქმედი ემბარგოს და სხვა სავაჭრო შეზღუდვებთან შესაბამისობას**

ნებისმიერი ხელშეკრულების დადებამდე, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) იტოვებს უფლებას დაადგინოს შეთავაზებული საქონლის წარმომავლობა. აღნიშნული შეფასება ჩატარდება ემბარგოს და სხვა სავაჭრო შეზღუდვების დაცვის უზრუნველსაყოფად GIZ-ის სათანადო შემოწმების ფარგლებში. განსაკუთრებით ეს ეხება ევროკავშირის სანქციებს რუსეთის, ბელარუსის, ყირიმისა და აღმოსავლეთ უკრაინის დაზარალებული ტერიტორიების წინააღმდეგ[1] (პირველ რიგში, ევროკავშირის საბჭოს რეგულაციები No.: 833/2014 და 765/2006).

განაცხადის წარდგენისას პრეტენდენტი იღებს ვალდებულებას GIZ-ის წინაშე, რომ კონტრაქტის სავარაუდო გაფორმების შემთხვევაში, პრეტენდენტი მას საჭირო მხარდაჭერას აღმოუჩენს, რათა GIZ-მა უზრუნველყოს სანქციების რეჟიმის დაცვა - შესაბამისად, აღნიშნული გარანტია ნებისმიერი ხელშეკრულების გაფორმებამდე გაიცემა. კერძოდ, ეს მოიცავს ვალდებულებას, GIZ-ის მოთხოვნის შემთხვევაში, შეივსოს თვითდეკლარაცია შეთავაზებული საქონლის წარმოშობის დასადგენად და/ან მიეწოდოს GIZ-ს ასეთი საქონლის წარმოშობის საჭირო მტკიცებულება. თუ პრეტენდენტი ვერ შეასრულებს აღნიშნულ ვალდებულებებს ან ვერ შეასრულებს ამას გონივრულ ვადაში, მისი განაცხადი შეიძლება არ იქნას მიღებული.

ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებელია მხოლოდ შეთავაზებული საქონლის წარმოშობის შეფასების დასრულების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოწმება იძლევა შეშფოთების საფუძველს ან გამოავლენს ფაქტებს, რომლებიც ხელს უშლის ხელშეკრულების დადებას, GIZ დაუყოვნებლივ აცნობებს პრეტენდენტი. მსგავს შემთხვევებში GIZ ასევე იტოვებს უფლებას სატენდერო პროცედურებში მომდევნო ადგილზე გასულ პრეტენდენტთან გააფორმოს ხელშეკრულება.

---

[1] https://finance.ec.europa.eu/eu-and-world/sanctions-restrictive-measures/sanctions-adopted-following-russias-military-aggression-against-ukraine_en#sanctions

**სხვა პირობები:**

- საქონლის მიწოდების სასურველი ვადა: გთხოვთ შემოგვთავაზოთ მოწოდების შესაძლო უმოკლესი ვადა.
- შემოთავაზზბის მოქმედების ვადა: არანაკლებ 20 დღე
- საქონლის მიწოდების ადგილი: თბილისი
- ანაზღაურება: საქონლისა და ორიგინალი ინვოისის მიწოდებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

შეკითხვები პროცედურული თუ ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ტენდერის დასრულებამდე არაუგვიანეს 2 დღისა, https://etenders.ge/ და https://tenders.ge/ -ზე განთავსებული კითხვა/პასუხის მოდულის გამოყენებით, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

წესების დარღვევის შემთხვევაში შეიძლება თქვენი შემოთავაზება არ იქნას განხილული.

შემოთავაზებების შეფასება სავარაუდოდ დასრულდება 19.04.2024-სთვის. დაკავშირება მოხდება მხოლოდ გამარჯვებულ კომპანიასთან.

პატივისცემით,
შესყიდვების და კონტრაქტების განყოფილება

დანართები

დანართი 1 - ტექნიკური მახასიათებლები და რაოდენობა

დანართი 2 - შესყიდვის სტანდარტული პირობები

დანართი 3- საქონლის შესყიდვის თვითდეკლარაცია